განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„აგრარული ტექნოლოგიები“

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
10.09.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **211349192** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | აგრარული ტექნოლოგიები |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | აგრარულ მეცნეირებათა მაგისტრი 0101 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტირებული** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჯაფოშვილი, აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან კინწურაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია ჯინჭარაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ედვარდ შერმადინი, ფერმერი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა აგრარული ტექნოლოგიები“ შემუშავებულია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი აგრარული განათლების მიღებას, სწავლების და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას. კურსდამთავრებულს შეასწავლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის, მოსავლის მიღების, შენახვის და გადამუშავების მეთოდები. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ მოწინავე ქვეყნების თანამედროვე აგროტექნოლოგიური გამოცდილების საფუძველზე: ნიადაგის დამუშავების სისტემების გაუმჯობესება, ნიადაგის და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, სელექცია-მეთესლეობის ღონისძიებების, სწორი თესლბრუნვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის და სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარება. დაეუფლონ მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და მართვის მეთოდების, ნიადაგის რეკულტივაცია-კონსერვაციის, აგროტექნიკური და სამელიორაციო ღონისძიებებს, მეცხოველების საკვები ბაზის ორგანიზაციის საკითხებს; ბუნებრივი სათიბ-საძოვრებსა და სახნავი მიწებზე საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის და საკვების დამზადების ტექნოლოგიას; მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ინოვაციური სამანქანო ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს.
პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელი და მოცულობა 120 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი 75 და კვლევითი 45 კრედიტი). პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია.
პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრის, აგრონომიის (0101) სპეციალობით, კვალიფიკაცია. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები, სააუდიტორიო სივრცე და კომპიუტერული რესურსი და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულებები). პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა ფინანსდება სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ბიუჯეტით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 10 სექტემბერს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 31.08.2018 №803). აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამათან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, ასევე მოქმედ სტუდენტებთან,

კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე განხილულ იქნა სამაგისტრო ნაშრომები და შედგა გასაუბრება ნაშრომების ხელმძღვანელებთან. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რჩევა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და საავკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროგრამა აკმაყოფილებს:

პირველი სტანდარტის მოთხოვნებს.

მეორე სტანდარტის მოთხოვნებს, არის რამოდენიმე რჩევა.

მე-3 სტანდარტის მოთხოვნებს.

მე-4 სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა არის რჩევა და რეკომენდაცია.

და მე-5 სტანდარტის მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

ცენტრალური ბიბლიოთეკა ფაკულტეტიდან საკმაოდ შორსაა, სასურველია ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ ფაკულტეტის სტუდენტების სწავლებისთვისაა საჭირო სრულად მოთავსდეს მათ ადგილობრივ ბიბლიოთეკაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია „თემატიკის“ ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი საგანთა კონცენტრაცია, ან სასწავლო კურსი ერთობლიობა, ან სპეციალიზაცია, ან მოდული.
სასურველია ალბათ ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სწავლის შედეგების რუკაზე, სადაც ზოგიერთ საგნის სილაბუსის შესაბამისად მონიშნული არაა ზოგიერთი კომპეტენცია, რომელსაც ამათუ იმ საგნის გავლისას მიიღებს სტუდენტი: მაგ. მცენარეთა ეკოლოგია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდები, სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, აგრონომიის ინტეგრირებული კურსი, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება და ა.შ.

იგივე გეგმაში, მე-4 არჩევით სამაგისტრო „თემატიკაში“ აგროექსპერტიზა მითითებულია ხოლო კრედიტები და სხვა დანარჩენი მონაცემების შესაბამისი უჯრები ცარიელი.

პროგრამის სასწავლო კურსში - მემცენარეობის საწარმოთა ელექტრომოწყობილობები-სწავლების ფორმად გამოყენებული აქვს პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია სემინარი.
სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას სასურველია მეტად იყოს დაცული ნორმატიული დოკუმენტაციით დადგენილი წესები.

სასწავლო კურსების უმეტეს სილაბუსში, მიუხედავად იმისა, რომ გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმი ზოგგან გამსხვილებულია და არ არის ჩაშლილი.

პროგრამაში ჩართული პერსონალი უნდა გააქტიურდეს კვლევით ნაწილში და გამოქვეყნებისას ყურადღება უნდა მიექცეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციებს. ასევე უნდა გააქტიურდეს დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესურის საერთაშორისო კავშირები და პრობლემატიკაზე თანამშრომლობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ არის.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მისიაა თავის სტუდენტებს მისცეს ღირებულ ცოდნა, შეუქმნას აღიარებულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემო, ხელი შეუწყოს კრიტიკული, ანალიტიკური, ეთიკური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას სტუდენტებში და შექმნას ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოება, რომელიც მზად იქნება, ღირსეულად უპასუხოს სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებს.<br>პროგრამის ფარგლებში მომზადებული სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და შეიტანენ ღირსეულ წვლილს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში.<br>პროგრამა ორინეტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაც დასტურდება დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობით და მისი აქტიური ჩართულობით პროგრამის განხორციელების საქმეში.<br>პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მიღწევადია პროგრამის როგორც სასწავლო ისე კვლევით კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ფაკულტეტის დებულება<br>○ უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ<br>○ პროგრამის ბიუჯეტი |

- მხარდაჭერის წერილები
- თანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულებები
- ინტერვიუ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

**რეკომენდაციები:**

- არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან,

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან და უზრუნველყოფს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება აგრარული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ცოდნა. რომელიც მისცემს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის. ეცოდინება სხვადასხვა სახის აგროტექნოლოგიებით, განსაზღვროს მაღალი ხარისხისა და მაღალი მოსავლიანობის მიღწევის შესაძლებლობა, გააცნობიერებს ფიტოგენეტიკური რესურსის ბუნებრივი და სამრეწველო მარაგების მონიტორინგს, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ტექნოგენური სიტუაციების დაცვას, მდგრადი გამოყენების შედგენა-ექსპლუატაციის მომგებიან პრიორიტეტებს. კურსდამთავრებული შეძლებს დამოუკიდებლად გაუძღვეს სოფლის მეურნეობას, განახორციელოს კვლევები. შეძლებს მემცენარეობის უვნებელი პროდუქტების წარმოებისათვის აგრარული პოლიტიკის თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტას. შეძლებს დამოუკიდებლად განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნიადაგობრივ-კლიმატური ზონების შერჩევა და შეფასება, აგრეთვე აგროფიტოცინოზის მდგომარეობის შეფასება და კორექცია. მცენარეთა დაცვისათვის და კვებისათვის მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით აგრონომიაში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და კვლევითი მეთოდების დანერგვას, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას. შეუძლებს ეკონომიკურად მომგებიან მიმართულებების პრიორიტეტებს დაუკავშიროს საქართველოს უნიკალური და უმდიდრესი ფიტოგენოფონდის უმნიშვნელოვანესი სახეობების (ენდემების) მდგრადი გამოყენება. მას ექნება თანამედროვე, პრაქტიკული მოთხოვნილების გათვალისწინებით, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის საფუძველზე, კვლევებით მიღებული შედეგების გათვალისწინებითა და გაანალიზებით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებასა და მათ შორის კავშირის დადგენის უნარი. კურსდამთავრებულს შეიძენს აკადემიურ საზოგადოებასთან აგრარული სფეროს მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციის უნარს. ასევე შეძლებს ურთიერთობისას მიღებული ინფორმაციის გააზრებასა და დამუშავებას; ჩატარებული კვლევების წერილობითი ანგარიშის და პრეზენტაციების მომზადებას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მიღებული ცოდნის საფუძველზე დაინტერესებულ საზოგადოებასთან ნაყოფიერ თანამშრომლობას, მათ მაღალხარისხიან კონსულტირებას. იგი შეძლებს აგრარულ სფეროში არსებული აქტუალური საკითხების გაცნობიერება, უახლესი რელევანტური ინფორმაციის, ბეჭდური თუ სხვა სახის მასალის მოპოვებასა და მის საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფისთვის. კურსდამთავრებულს განუვითარდება პროფესიული თანამშრომლობის მაღალი სტანდარტები. შეეძლება წამოჭრას და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს აგრარულ სფეროში არსებული საკითხები, შეაფასოს და წვლილი შეიტანოს არსებული დარგის ღირებულებების შექმნაში.უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“.
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info;

| |
|---|
| ○ სტუ-საკადემიურისაბჭოს 2017 წლის27 დეკემბრის №2691 დადგენილებითდამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;<br>○ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;<br>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>○ შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ არ არის<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კანდიდატების მოზიდვასა და მათ ჩართვას პროგრამაში. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცესი ითვალისწინებს 2 ნაწილს: საერთო სამაგისტრო გამოცდასა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდით ბიოორგანული ქიმიაში წინასწარ დადგენილი ტესტების მიხედვით. შესაბამისად გამოცდის ჩაბარება არის საფუძველი, რომ სტუდენტმა დაძლიოს სხვა სასწავლო კურსები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“<br>○ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017წლის22დეკემბრის №199/ნ ბრძანება;<br>○ სტუ-საკადემიურისაბჭოს 2017წლის27 დეკემბრის №2691დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;<br>○ სტუ– ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/.<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**აღწერა და შეფასება**

სამაგისტრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“ მოიცავს შემდეგ არჩევით სამაგისტრო თემატას: აგროტექნოლოგია, აგროქიმია-ნიადაგმცოდენობია, აგროეკოლოგია, სელექცია-გენეტიკის და მცენარეთა დაცვა. საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნოლოგიების“ ფარგლებში.

აგრარული მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას. აქედან 75 კრედიტი მოდის სასწავლო ხოლო 45 კვლევით კომპონენტზე.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი აერთიანებს სასპეციალიზაციო საგნებს - 45 კრედიტი, არჩევით საგნებს - 30 კრედიტი, ხოლო კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტისაგან შედგება, რომელიც მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოქვიუმს - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

პირველი წლის პირველ სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს 5 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და ერთ 5 კრედიტიან სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსს. ჯამში 30 კრედიტი.

პირველი წლის მეორე სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს 3 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და 2 სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს არჩეული სამაგისტრო თემატიკის მიხედვით („აგროტექნოლოგია“, „აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა“, „აგროეკოლოგია“, „მცენარეთა სელექცია-გენეტიკა“), ხოლო სამაგისტრო თემატიკის „მცენარეთა დაცვა“ არჩევის შემთხვევაში - 3 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს, 1 სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსსა და 1 სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსს. ასევე აქვს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/

| |
|---|
| კოლოკვიუმი, რომელიც მოცავს 5 კრედიტს. ჯამში - 30 კრედიტი.<br>მეორე წლის პირველ სემესტრში სამაგისტრო თემატიკა „აგროტექნოლოგია“ - მაგისტრანტი სწავლობს 3 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და ერთ 5 კრედიტიან სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსს.<br>სამაგისტრო თემატიკა „აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა“ მაგისტრანტი სწავლობს 3 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და ერთ 5 კრედიტიან სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსს.<br>სამაგისტრო თემატიკა „აგროეკოლოგია“ მაგისტრანტი სწავლობს 4 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს.<br>სამაგისტრო თემატიკა „მცენარეთა სელექცია-გენეტიკა“ მაგისტრანტი სწავლობს 4 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს.<br>სამაგისტრო თემატიკა „მცენარეთა დაცვა“ მაგისტრანტი სწავლობს 4 სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს.<br>ასევე აქვს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს. ჯამში - 30 კრედიტი<br>მეორე წლის მეორე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი. ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ ადგენს დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ: [http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_.pdf](http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_.pdf)<br>კვლევითი კომპონენტი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია: • სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი (5 კრედიტი) • თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი (10 კრედიტი) • სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი). მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც სრულდება.<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი ქრონოლოგიური წყობა, შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღწერის სათანადო დონით.<br>დაწესებულების მიერ განხორციელებული აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები თვლიან, რომ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი არიან და ეს პროგრამის ეფექტურობის, მათი პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარებისა და შეძენილი ცოდნის დამსახურებაა. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი დასაქმდნენ.<br>დასაქმების ბაზარზე სამაგისტრო პროგრამის ორიენტულობის გასაზრდელად მოხდება კურსდამთავრებულთა რეგულარული გამოკითხვა და ამ გამოკითხვებით, დადგინდება თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა, ასევე დადგინდება კურსდამთავრებულთა შეხედულებები/კმაყოფილება პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარების და შეძენილი ცოდნის შესახებ, რაც ხდის მათ კონკურენტუნარიანს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარულიტექნოლოგიები“;<br>○ სამაგისტრო პროგრამის დებულება<br>○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>○ სტუ-საკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.<br>○ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ 2018 წ. |

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია „თემატიკის" ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი საგანთა კონცენტრაცია, ან სასწავლო კურსი ერთობლიობა, ან სპეციალიზაცია, ან მოდული.<br>სასურველია ალბათ ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სწავლის შედეგების რუკაზე, სადაც ზოგიერთ საგნის სილაბუსის შესაბამისად მონიშნული არაა ზოგიერთი კომპეტენცია, რომელსაც ამათუ იმ საგნის გავლისას მიიღებს სტუდენტი: მაგ. მცენარეთა ეკოლოგია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდები, სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, აგრონომიის ინტეგრირებული კურსი, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება და ა.შ. იგივე გეგმაში, მე-4 არჩევით სამაგისტრო „თემატიკაში" აგროექსპერტიზა მითითებულია ხოლო კრედიტები და სხვა დანარჩენი მონაცემების შესაბამისი უჯრები ცარიელი.<br>პროგრამის სასწავლო კურსში - მემცენარეობის საწარმოთა ელექტრომოწყობილობები-სწავლების ფორმად გამოყენებული აქვს პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია სემინარი.<br>სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას სასურველია მეტად იყოს დაცული ნორმატიული დოკუმენტაციით დადგენილი წესები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ არ არის<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; |

| |
|---|
| ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები აგებულია დასახული მიზნების მისაღწევად. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.<br>ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება მაგისტრატურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვასწავლა-სწავლებისმეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. თუმცა ვიზიტისას გამოიკვეთა ზოგიერთი საკითხი რაზედაც ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რჩევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგრარული ტექნოლოგიები“;<br>○ სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).<br>○ ბიბლიოთეკის კატალოგი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>**არ არის** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>**არ არის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ არ არის |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის მიხედვით პირველი სასწავლო კურსის მეორე სემესტრში გათვალისწინებულია თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიც მოცავს 5 კრედიტს. შემდეგ სემესტრში კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 10 კრედიტით, ხოლო ბოლო სემესტრი მთლიანად ეთმობა კვლევას და სამაგისტრო ნაშრომის დასრულებას, 30 კრედიტი. შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქიკული უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტების ნაწილი გულისხმობს საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ელემენტები. მისი შესრულებისას სტუდენტი იყენებს მის მიერ მიღებულ ცოდნას, ეძებს მასალებს და ლიტერატურას; ახდენს მოპოვებული ინფორმაციის ლოგიკურ სისტემატიზაციას და დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნები. საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებისას სტუდენტი სწავლობს წყაროების ანალიზს და კვლევის შედეგების სწორად გადმოცემას; უვითარდება პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი.ამას გარდა პროგრამაში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა, რომლის დროსაც სტუდენტი იმყოფება მოქმედ საწარმოში და უშუალოდ მონაწილეობს საწარმოო პროცესების მართვაში. სტუ-ში სისტემატიურად ტარდება კონფერენციები, სადაც სტუდენტები გამოდიან მოხსენებით მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- კონფერენციების მასალები;

- ○ სამაგისტრო ნაშრომები
- ○ ინტერვიუ სტუდენტებთან
- ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "აგრარული ტექნოლოგიები" სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს. სწავლებისას გამოიყენება მეთოდების მთელი კომპლექსი:

| |
|---|
| დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.<br>სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნების მიღწევა, შესაძლებელია სწავლება-სწავლის იმ მეთოდებით, რომელიც მოცემულია სილაბუსების შინაარსში და შეესაბამება მაგისტრატურის მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) დონეს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგრარული ტექნოლოგიები“<br>○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ არ არის |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

